მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეომაინინგი“_ის მანგანუმის მადნის სამსხვრევი საამქროს მოწყობისა და საქმიანობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

20 იანვარი, 2015 წ.

მიგვაჩნია, რომ საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი შეიცავს მნიშვნელოვან ნაკლოვანებს, როგორც არსებული სიატუაციის ანალიზის/აღწერის, ისე, საქმიანობის შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისად, ზემოქმედების შერბილებისათვის განსახორციელებელი ქმედებების თვალსაზრისით. კერძოდ:

1. პროექტის მიხედვით, საქმიანობა გულისხმობს, რომ *„ტექნოლოგიური პროცესით გათვალისწინებულია მანგანუმის მადნის, ე.წ.“მწვარის“ დამსხვრევა მშრალად... ნედლეული, 250-500მმ ზომის მწვარის მადანი შემოიზიდება ავტოთვითმცლელით და მიეწოდება მიმღებ ბუნკერში. ნაწილი კი იყრება გაქანზე. ბუნკერიდან მადანი მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს. 25-50მმ ზომებად დამსხვრეული „მწვარი“ ტრანსპორტიორის მეშვეობით მიეწოდება სასაწყობო გაქანს, საიდანაც ავტოტრანსპორტის მეშვეობით გაიტანება დანიშნულებისამებრ“.* აქვე არ არის დაზუსტებული, გამოიყენებს თუ არა საწარმო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან მიმართებაში, (საჭიროების შემთხვევაში მაინც) რაიმე შემარბილებელ ღონისძიებებს. ანგარიშის 5.2 ქვეთავში ნათქვამია, რომ ატმოსფერულ ჰაერზე გავლენის მასშტაბი უმნიშვნელოა და შესაბამისად შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო არ არის. გამომდინარე იქედან, რომ საქმიანობა <u>მადნის მშრალი მეთოდით მსხვრევას გულისხმობს,</u> სრულიად წარმოუდგენელია, რომ საქმიანობა ამ შემთხვევაში არ მოითხოვდეს სათანადო შემარბილებელ ღონისძიებებს (მაგ: მიმდებარე ტერიტორიისა და გზის მორწყვას, ფილტრების დაყენებას და ა.შ).

ზემოთაღნიშნულიდან და ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ ჭიათურაში მცხოვრები მოსახლეობა, (ამ შემთხვევაში კი უახლოესი საცხოვრებელი სახლი მხოლოდ 340 მეტრით არის დაშორებული) მუნიციპალიტეტში არსებული, სხვადასხვა გამამდიდრებელი ქარხნებიდან გამონაბოლქვი ემისიების გამო, ისედაც სავალალო მდგომარეობაშია, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ სათანადოდ იქნას განხილული ატმოსფერულ ჰაეზე ზემოქმედება და დადგინდეს შესაბამისი შემერბილებელი ღონისძიებები.

2. დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული, საქმიანობიდან გამოწვეული ვიბრაციის ზეგავლენა გარემოზე.

3. არ არის სათანადოდ მოცემული გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, განსაკუთრებით ხმაურთან მიმართებაში. გამომდინარე იქედან, რომ ტექნოლოგიები სავარაუდოდ, (დოკუმენტში ნათლად არ არის წარმოდგენილი) განთავსებული იქნება ღია ცის ქვეშ, არ არის გამორიცხული, რომ ხმაურის ზდკ-ს საწარმოს მშენებლობის და/ან ექსპლუატაციის პერიოდში გადააჭარბოს

ნორმას. შესაბამისად უნდა იქნეს განხილული გარემოზე ზემოქმედების რისკები და დადგენილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

4. გზშ დოკუმენტში არ არის განხილული სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ზეგავლენა გარემოზე. გამომდინარე იქედან, რომ საწარმო უახლოესი დასახლებული არეალიდან 340 მეტრით არის დაშორებული, უნდა იყოს მოცემული სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ზეგავლენა მოსახლეობაზე. ამასთან, არ არის დაზუსტებული და გაწერილი, თუ რამდენი მანქანის გადაადგილება იგეგმება დღის განმავლობაში; რა უსაფრთხოების, თუ შემარბილებელ ღონისძიებებს გამოიყენებს ნედლეულის გადაზიდვისას კომპანია.

5. ერთ-ერთი ყურადსაღებო საკითხი, როგორიც არის ნიადაგის დაბინძურება, არასრულყოფილად არის წარმოდგენილი. გზშ ანგარიშში ნათქვამია, რომ *„საწარმოს დაკავებული ფართობი (4150 კვ. მეტრი) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკავებულია ძირითადი და დამხმარე შენობა-ნაგებობებით. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს ექსპლუატაციის დროს ნიადაგებზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია. ტერიტორიის გარეთ ნიადაგის დანინძურება მოსალოდნელი არ არის, რადგან ტერიტორია შემოღობილია ბეტონის ღობით“.* აქვე არ არის განხილული საწარმოს შიდა პერიმეტრის დაბინძურების რისკები და შემარბილებელი ღონისძიებები.

ამასთან, გზშ დოკუმენტში საერთოდ არ არის წარმოდგენილი მონაცემები, საწარმოს განთავსების და ასევე, გარე არეალებზე, მიწისქვეშა წყლების შესახებ, არ არის განხილული მასზე შესაძლო ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევში, არ არის დადგენილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

6. გზშ ანგარიშის დანართი 3. _ში მოცემულია გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა ცხრილის სახით, სადაც გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებად ჩამოთვლილია, შემდეგი: *1. „ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავება“; 2. „ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება“; 3. „მონიტორინგის გეგმის და სქემის მომზადება“; 4. „შრომის დაცვისა დაუსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავება“.* - გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, მხოლოდ ამ ეტაპზე აქვს, ჩართულობის შესაძლებლობა, ამ დროისათვის საქმიანობის განმახორციელებელს, უკვე სრულად უნდა ჰქონდეს შეფასებული გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეები და დადგენილი/შემუშავებული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.